აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 2

07 ივნისი 2016 წელი **ქ. ბათუმი**

უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე თვეში გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს თვეში გასაცემი თანხის არაუმეტეს 75%-ის ოდენობისა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე თვეში გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გასაცემი თანხის არაუმეტეს 75%-ის ოდენობისა.

3. დანამატი გაიცეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2015 წლის 03 ივლისის №1 განკარგულება.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **თამარა ხოზრევანიძე**